სისხლის სამართლის სტატისტიკის

ერთიანი ანგარიში

საანგარიშო პერიოდი - 2025 წლის იანვარი

შინაარსი

თავი II.	**პროკურატურის სტატისტიკა …….**	**3**
ნაწილი 4	სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის მაჩვენებლები.....	3
4.1	დევნის დაწყების მაჩვენებელი პირების მიხედვით ……....	3
4.2	დევნის დაწყების მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით ..	3
4.3	დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი პირების მიხედვით	14
4.4	დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით.	14
ნაწილი 5	დაზარალებული პირები.....	16
5.1	დაზარალებული პირები ასაკობრივ, სქესობრივ ჭრილსა და მოქალაქეობის მიხედვით.....…….....	16
5.2	დაზარალებული პირები სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით.....	17
ნაწილი 6	არასრულწლოვნები.....	23
6.1	დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ.....	23
6.2	დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით.....	23
6.3	დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ.....….....	25
6.4	დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით.....….....	25
6.5	დაზარალებული არასრულწლოვნები.....	26
თავი III.	**სასამართლო სტატისტიკა .....**	**34**
ნაწილი 7	სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები	34
7.1	აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შედეგები	34
ნაწილი 8	პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილული სისხლის სამართლის საქმეები	37
8.1	პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა საერთო რაოდენობა	37
8.2	არსებითი განხილვით დამთავრებული საქმეები.....	38
8.3	საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეები.....	38
ნაწილი 9	მსჯავრდებულები	39
9.1	მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით	39
9.2	არასრულწლოვანი მსჯავრდებულები	44
ნაწილი 10	დანაშაული და შეფარდებული სასჯელები	46
10.1	დანაშაულისა და შეფარდებული სასჯელების რაოდენობა დანაშაულთა სახეების მიხედვით	46
10.2	დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების რაოდენობა რეგიონების მიხედვით	48
თავი IV.	**პენიტენციური სისტემის სტატისტიკა.....**	**52**
ნაწილი 11	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების -სპეციალური პენიტენციური სამსახური	52
11.1	ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფები	52
11.2	არასრულწლოვანი ბრალდებულები და მსჯავრდებულები	58
11.3	ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების დადგენილი ლიმიტები	59

11.4	მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით	61
11.5	მსჯავრდებულები დაწესებულების ტიპის მიხედვით	62
11.6	უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულები და მსჯავრდებულები	63
11.7	პენიტენციურ სისტემაში და სისტემის გარეთ გადაყვანა	66
11.8	პენიტენციური სისტემიდან გასვლა	66
11.9	პენიტენციური სისტემიდან ჯანმრთელობის/ხანდაზმულობის გამო გათავისუფლება-გადავადება	67
11.10	რესოციალიზაციის მიმდინარეობა	68
11.11	სამეურნეო სამუშაოებში დასაქმება	74
11.12	დისციპლინური სახდელები	76
11.13	წახალისების ფორმები	77
11.14	პაემნის ღონისძიებები	79
11.15	წარსულში ნასამართლევი ბრალდებულები და მსჯავრდებულები	81
11.16	დაოჯახებული ბრალდებულები და მსჯავრდებულები	82
11.17	შეწყალების შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლება	83
11.18	ამნისტიის შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლება	84
11.19	პენიტენციურ სისტემაში მომხდარი დანაშაულები	85
11.20	დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა) პენიტენციურ სისტემაში	87
11.21	გარდაცვალება	96
თავი V.	**პრობაციის სისტემის სტატისტიკა**	**98**
ნაწილი 12	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - პრობაციის ეროვნული სააგენტო	98
12.1	არაპატიმარი მსჯავრდებულები	98
12.2	არაპატიმარი მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით	100
12.3	არასრულწლოვანი არაპატიმარი მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით	101
12.4	უცხოელი არაპატიმარი მსჯავრდებულები	102
12.5	არაპატიმარი მსჯავრდებულები არასაპატიმრო სასჯელის ტიპის მიხედვით	103
12.6	არაპატიმარ მსჯავრდებულთა ახალი საქმეები	104
12.7	დასრულებული და შეწყვეტილი საქმეები	106
12.8	პირობითი მსჯავრის გაუქმება და ნასამართლობის მოხსნა	109
12.9	არაპატიმარ მსჯავრდებულთა შეწყალება	109
12.10	არაპატიმარ მსჯავრდებულთა ამნისტია	110
12.11	საქმეების საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე	111
12.12	არაპატიმარ მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიმდინარეობა და განრიდებულთა შეფასება	112
12.13	არაპატიმარ მსჯავრდებულთა დასაქმება	114
12.14	შინაპატიმრობა	115

თავი II. პროკურატურის სტატისტიკა

ნაწილი 4. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის მაჩვენებლები

4.1. დევნის დაწყების მაჩვენებელი პირების მიხედვით

2025 წლის იანვრის თვეში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1432 პირის მიმართ. აქედან გამოსაცდელი ვადის გასვლამდე დანაშაული ჩადენილია 63 პირის მიერ, რაც დევნადაწყებული პირების 4,4%-ს შეადგენს (ცხრილი 3).

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში ამგვარია (ცხრილი 4):



4.2. დევნის დაწყების მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით[1]

2025 წლის იანვრის თვეში დევნის დაწყების მაჩვენებელი სსკ-ის კონკრეტული მუხლების მიხედვით ასე გადანაწილდა (ცხრილი 5):

[1] გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებთან მიმართებით დათვლილი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელთა ჯამი ხშირად აღემატება დევნის დაწყების საერთო მაჩვენებელს, გამომდინარე იქიდან, რომ დანაშაულთა ერთობლიობის დროს (მაგ.: პირმა ჩაიდინა ორი ან მეტი დანაშაული) დევნის დაწყების მაჩვენებელი ფიქსირდება თითოეულ მუხლთან მიმართებით. გარდა ამისა, როდესაც ხდება ბრალდებულის მიმართ უკვე წარდგენილი ბრალდების დაზუსტება (რაც პროცესუალურად გულისხმობს პროკურორის მიერ „პირის ბრალდების შესახებ“ ახალი დადგენილების გამოტანას), პროგრამული თვალსაზრისით, ეს მოცემულობა ასევე აღიქმება დევნის დაწყებად, რაც ბუნებრივად ზრდის საერთო მაჩვენებელს.

<u>დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 108-116):</u>



<u>დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126[1]):</u>

<u>ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა (სსკ-ის მუხლები: 127-136):</u>



<u>დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 137-141):</u>



<u>დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):</u>



<u>დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189[1]):</u>



<u>დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 190-207[1]):</u>



<u>დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში (სსკ მუხლები 208-213):</u>



<u>დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში (სსკ მუხლები 214- 219):</u>



<u>დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 220-221):</u>

დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ სსკ-ის 221-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (კომერციული მოსყიდვა).

<u>დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 222-239[1]):</u>



<u>სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა (სსკ მუხლები 240-245):</u>



<u>დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 246-259):</u>

დევნა დაიწყო 2 პირის მიმართ სსკ-ის 259-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობა).

<u>ნარკოტიკული დანაშაული (სსკ მუხლები 260-274):</u>



<u>სატრანსპორტო დანაშაული (სსკ მუხლი 275-283):</u>

დევნა დაიწყო 39 პირის მიმართ სსკ-ის 276-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა).

<u>კომპიუტერული დანაშაული (სსკ მუხლები 284-286):</u>

დევნა დაიწყო 20 პირის მიმართ სსკ-ის 286[1] მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფა ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით).

<u>დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 287-306):</u>



<u>ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივი რეჟიმის დარღვევა (სსკ მუხლები 322[1]-322[2]):</u>

დევნა დაიწყო 11 პირის მიმართ სსკ-ის 322[1] მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევა).

<u>ტერორიზმი (სსკ მუხლები 323-331[2]):</u>

დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ სსკ-ის 326-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე ან დაწესებულებაზე თავდასხმა).

<u>სამოხელეო დანაშაული (სსკ მუხლები 332-342[1]):</u>



<u>დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 343-363):</u>



<u>დანაშაული სასამართლო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 364-367[2]):</u>

დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ სსკ-ის 365-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (მუქარა ან ძალადობა სამართალწარმოების განხორციელებასთან ან გამოძიებასთან დაკავშირებით).

<u>დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 368-373):</u>



<u>დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ მიმართული ქმედება (სსკ მუხლები 374-376):</u>

<u>დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 377-381²):</u>



<u>დანაშაული დაქვემდებარების წესისა და სამხედრო ღირსების დაცვის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 382-396):</u>

დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ სსკ-ის 388-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად დატოვება).

4.3. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი პირების მიხედვით

2025 წლის იანვრის თვეში დევნა შეწყდა 10 პირის მიმართ. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში ამგვარია: (ცხრილი 3; ცხრილი 4).



4.4. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით

2025 წლის იანვრის თვეში დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სსკ-ის მუხლების მიხედვით ამგვარია (ცხრილი 6):

<u>**დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 108-116):**</u>

დევნა შეწყდა 1 პირის მიმართ სსკ-ის 19-109-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობა).

<u>**დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126[1]):**</u>



<u>დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):</u>

დევნა შეწყდა 2 პირის მიმართ სსკ-ის 151-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (მუქარა).

<u>დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189[1]):</u>



<u>დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 190-207[2]):</u>

დევნა შეწყდა 1 პირის მიმართ სსკ-ის 194-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (კანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება)).

<u>დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში (სსკ მუხლები 208-213[1]):</u>

დევნა შეწყდა 1 პირის მიმართ სსკ-ის 208-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (კრედიტის უკანონოდ მიღება).

<u>დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში (სსკ მუხლები 214- 219):</u>

დევნა შეწყდა 1 პირის მიმართ სსკ-ის 218-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (გადასახადისათვის თავის არიდება).

<u>დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 343-363):</u>

დევნა შეწყდა 2 პირის მიმართ სსკ-ის 362-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (ყალბი დოკუმენტების დამზადება).

ნაწილი 5. დაზარალებული პირები

5.1. დაზარალებული პირები ასაკობრივ, სქესობრივ ჭრილსა და მოქალაქეობის მიხედვით

2025 წლის იანვრის თვეში სულ დაზარალებულ პირთა რაოდენობამ შეადგინა 1336. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით დაზარალებული პირები ასე გადანაწილდა (ცხრილი 7):



დაზარალებული პირები სქესობრივ ჭრილში ამგვარია (ცხრილი 7):



2025 წლის იანვრის თვეში დაზარალებული პირების უმეტესობა საქართველოს მოქალაქეა (ცხრილი 7):



5.2. დაზარალებული პირები სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით[2]

2025 წლის იანვრის თვეში დაზარალებული პირები სსკ-ის კონკრეტული მუხლების მიხედვით ასე გადანაწილდა (ცხრილი 8):

[2] გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებთან მიმართებით დათვლილ დაზარალებულ პირთა ჯამი ხშირად აღემატება დაზარალებულ პირთა საერთო მაჩვენებელს, გამომდინარე იქიდან, რომ დანაშაულთა ერთობლიობის დროს (მაგ.: თუ დაზარალებულის მიმართ ჩადენილ იქნა ორი ან მეტი დანაშაული) დაზარალებული პირის მაჩვენებელი ფიქსირდება თითოეულ მუხლთან მიმართებით. გარდა ამისა, როდესაც ხდება ბრალდებულის მიმართ უკვე წარდგენილი ბრალდების დაზუსტება (რაც პროცესუალურად გულისხმობს პროკურორის მიერ „პირის ბრალდების შესახებ“ ახალი დადგენილების გამოტანას), პროგრამული თვალსაზრისით, ეს მოცემულობა შესაძლოა აღქმულ იქნას დამოუკიდებელ დევნის დაწყებად, რაც ბუნებრივად ზრდის დაზარალებულ პირთა საერთო მაჩვენებელს.

<u>დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 108-116):</u>



<u>დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126[1]):</u>



<u>ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა (სსკ-ის მუხლები: 127-136):</u>



<u>დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 137-141):</u>



<u>დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):</u>



<u>დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189[1]):</u>



<u>დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში (სსკ მუხლები 208-213[1]):</u>

დაზარალდა 1 პირი სსკ-ის 212-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გასაღება).

<u>დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 222-239[1]):</u>



<u>სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა (სსკ მუხლები 240-245):</u>



<u>დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 246-259):</u>

დაზარალდა 1 პირი სსკ-ის 259-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობა).

<u>ნარკოტიკული დანაშაული (სსკ მუხლები 260-274):</u>

დაზარალდა 1 პირი სსკ-ის 264-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა).

<u>სატრანსპორტო დანაშაული (სსკ მუხლი 275-283):</u>

დაზარალდა 146 პირი სსკ-ის 276-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა).

<u>კომპიუტერული დანაშაული (სსკ მუხლები 284-286):</u>



<u>სამოხელეო დანაშაული (სსკ მუხლები 332-342[1]):</u>

დაზარალდა 33 პირი სსკ-ის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება).

<u>დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 343-363):</u>



<u>დანაშაული სასამართლო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 364-367[2]):</u>

დაზარალდა 2 პირი სსკ-ის 365-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (მუქარა ან ძალადობა სამართალწარმოების განხორციელებასთან ან გამოძიებასთან დაკავშირებით).

<u>დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 377-381[2]):</u>



ნაწილი 6. არასრულწლოვნები

6.1 დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ

2025 წლის იანვრის თვეში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 62 არასრულწლოვნის მიმართ. აქედან 2 პირმა დანაშაული ჩაიდინა გამოსაცდელი ვადის გასვლამდე (3,2%). (ცხრილი 3).

არასრულწლოვანთა მიმართ დევნის დაწყების მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში ამგვარია (ცხრილი 4):



6.2. დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით[3]

2025 წლის იანვრის თვეში არასრულწლოვანთა მიმართ დევნის დაწყების მაჩვენებელი კონკრეტული დანაშაულების მიხედვით ამგვარია (ცხრილი 5):

[3] გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებთან მიმართებით დათვლილი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელთა ჯამი ხშირად აღემატება დევნის დაწყების საერთო მაჩვენებელს, გამომდინარე იქიდან, რომ დანაშაულთა ერთობლიობის დროს (მაგ.: პირმა ჩაიდინა ორი ან მეტი დანაშაული) დევნის დაწყების მაჩვენებელი ფიქსირდება თითოეულ მუხლთან მიმართებით. გარდა ამისა, როდესაც ხდება ბრალდებულის მიმართ უკვე წარდგენილი ბრალდების დაზუსტება (რაც პროცესუალურად გულისხმობს პროკურორის მიერ „პირის ბრალდების შესახებ“ ახალი დადგენილების გამოტანას), პროგრამული თვალსაზრისით, ეს მოცემულობა ასევე აღიქმება დევნის დაწყებად, რაც ბუნებრივად ზრდის საერთო მაჩვენებელს.

<u>დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 108-116):</u>

დევნა დაიწყო 1 არასრულწლოვნის მიმართ სსკ-ის 19-108-ე მუხლზე (მკვლელობის მცდელობა).

<u>დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126[1]):</u>

დევნა დაიწყო 1 არასრულწლოვნის მიმართ სსკ-ის 117-ე მუხლზე (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება).

<u>დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):</u>

დევნა დაიწყო 1 არასრულწლოვნის მიმართ სსკ-ის 151-ე მუხლზე (მუქარა).

<u>დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189[1]):</u>



<u>ნარკოტიკული დანაშაული (სსკ მუხლები 260-274):</u>

დევნა დაიწყო 1 არასრულწლოვნის მიმართ სსკ-ის 260-ე მუხლზე (ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება).

6.3. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ

2025 წლის იანვრის თვეში დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვნის მიმართ არ დაფიქსირებულა. (ცხრილი 3, ცხრილი 4).

6.4. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით

2025 წლის იანვრის თვეში არასრულწლოვანთა მიმართ დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სსკ-ის კონკრეტული მუხლების მიხედვით არ დაფიქსირებულა (ცხრილი 6).

6.5. დაზარალებული არასრულწლოვნები[4]

2025 წლის იანვრის თვეში სულ დაზარალდა 98 არასრულწლოვანი. დაზარალებული არასრულწლოვნები დანაშაულების მიხედვით ამგვარია (ცხრილი 8):

<u>**დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 108-116):**</u>

დაზარალდა 1 არასრულწლოვანი სსკ-ის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში).

<u>**დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126[1]):**</u>



[4] გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებთან მიმართებით დათვლილ დაზარალებულ პირთა ჯამი ხშირად აღემატება არასრულწლოვან დაზარალებულ პირთა საერთო მაჩვენებელს, გამომდინარე იქიდან, რომ დანაშაულთა ერთობლიობის დროს (მაგ.: თუ არასრულწლოვანი დაზარალებულის მიმართ ჩადენილ იქნა ორი ან მეტი დანაშაული) დაზარალებული პირის მაჩვენებელი ფიქსირდება თითოეულ მუხლთან მიმართებით. გარდა ამისა, როდესაც ხდება ბრალდებულის მიმართ უკვე წარდგენილი ბრალდების დაზუსტება (რაც პროცესუალურად გულისხმობს პროკურორის მიერ „პირის ბრალდების შესახებ“ ახალი დადგენილებისას გამოტანას), პროგრამული თვალსაზრისით, ეს მოცემულობა შესაძლოა აღქმულ იქნას დამოუკიდებელ დევნის დაწყებად, რაც ბუნებრივად ზრდის არასრულწლოვან დაზარალებულ პირთა საერთო მაჩვენებელს.

<u>დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 137-141):</u>



<u>დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):</u>



<u>დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189[1]):</u>



<u>სატრანსპორტო დანაშაული (სსკ მუხლი 275-283):</u>

დაზარალდა 7 არასრულწლოვანი სსკ-ის 276-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა).

<u>კომპიუტერული დანაშაული (სსკ მუხლები 284-286):</u>

დაზარალდა 1 არასრულწლოვანი სსკ-ის 284-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა).

სამოხელეო დანაშაული (სსკ მუხლები 332-342[1])

დაზარალდა 2 არასრულწლოვანი სსკ-ის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება).

დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 377-381[2]):

დაზარალდა 2 არასრულწლოვანი სსკ-ის 381[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (დამცავი ან შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების ან/და ვალდებულებების შეუსრულებლობა).

თავი III. სასამართლო სტატისტიკა

ნაწილი 7 - სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები

7.1 აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შედეგები

2025 წლის იანვარში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულია საგამოძიებო ორგანოებიდან აღკვეთის ღონისძიებების შეფარდებაზე შემოსული 1170 შუამდგომლობა. განხილული შუამდგომლობებიდან დაპატიმრების ხვედრითი წილი შეადგენს 38,9%-ს, გირაოს ხვედრითი წილი - 61,0%-ს, არასრულწლოვანი ბრალდებულის მშობლის მეთვალყურეობაში გადაცემა - 0,1%-ს. (იხ. დანართი ცხრილი №9).

განხილული შუამდგომლობები



სულ განხილული შუამდგომლობებიდან სასამართლოს მიერ *დაკმაყოფილებულ იქნა* 570 შუამდგომლობა, ანუ 48,7%. მათ შორის: დაპატიმრების შეფარდებაზე განხილული

შუამდგომლობებიდან სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ იქნა 69,0%, გირაოს შეფარდებაზე დაკმაყოფილებულ იქნა 35,7%.

დატოვებულია განუხილველად საპროცესო შეთანხმების დამტკიცების ან სხვა მიზეზის გამო საგამოძიებო ორგანოებიდან შემოსული 466 შუამდგომლობა, ანუ 39,8%.

საგამოძიებო ორგანოებიდან შემოსული შუამდგომლობებიდან *უარი ეთქვა* მოცემული შუამდგომლობის შეფარდებაზე და შეეფარდა სხვა აღკვეთის ღონისძიება, ან უარი ეთქვა აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე 134 შუამდგომლობას, ანუ 11,5%-ს.

შუამდგომლობების განხილვის შედეგი



2025 წლის იანვარში სულ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებებიდან დაპატიმრებაზე მოდის 45,2% (314), გირაოზე - 54,2% (376), არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემაზე - 0,1% (1), გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმებაზე - 0,4% (3).

შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები



2025 წლის იანვარში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ სულ შეფარდებული 694 აღკვეთის ღონისძიებიდან საპატიმრო იყო 314, ანუ 45,2%, ხოლო არასაპატიმრო - 380, ანუ 54,8%. არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებებში შეფარდებული გირაოს ხვედრითმა წილმა შეადგინა 98,9%.

ნაწილი 8 - პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილული სისხლის სამართლის საქმეები

8.1 პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა საერთო რაოდენობა

2025 წლის იანვარში პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილულია 978 სისხლის სამართლის საქმე 1113 პირის მიმართ, აქედან განაჩენის გამოტანით განხილულია 918 საქმე, ანუ 93,9%, შეწყდა 52 საქმე 5,3%, დაუბრუნდა პროკურატურას 8 საქმე, ანუ 0,8%. (იხ. დანართი ცხრილი №10).

2025 წლის იანვარში განაჩენის გამოტანით განხილული საქმეებიდან საპროცესო შეთანხმებით განხილული იყო 668 საქმე (სულ განხილული საქმეების 72,8%) 754 პირის მიმართ (სულ განხილული პირების 71,9%), არსებითი განხილვით დამთავრდა 250 საქმე (შესაბამისად 27,2%) 294 პირის მიმართ (28,1%).

პირველი ინსტანციის სასამართლოებში არსებითად და საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეების ხვედრითი წილი განაჩენის გამოტანით განხილულ საქმეებში



8.2 არსებითი განხილვით დამთავრებული საქმეები

2025 წლის იანვარში პირველი ინსტანციის სასამართლოებში არსებითი განხილვით დამთავრებული 250 საქმიდან გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა 197 საქმეზე, გამამართლებელი განაჩენი - 35 საქმეზე, ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი 18 საქმეზე. (იხ. დანართი ცხრილი №11).

2025 წლის იანვარში სულ არსებითი განხილვით მსჯავრდებული, გამართლებული და შეწყვეტილი 351 პირიდან გამართლებულ პირთა ხვედრითი წილი შეადგენს 11,7%-ს, ნაწილობრივ გამართლებული პირების ხვედრითი წილი - 5,1%-ს, ხოლო იმ პირების ხვედრითი წილი, რომელთა მიმართ საქმე შეწყდა შეადგენს 16,2%-ს. (იხ. დანართი ცხრილი №12)

8.3 საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეები

2025 წლის იანვარში პირველი ინსტანციის სასამართლოებში სულ არსებითი განხილვის გარეშე შემოსული იყო 467 სისხლის სამართლის საქმე 509 პირის მიმართ. საპროცესო შეთანხმებით განაჩენი გამოტანილ იქნა 668 საქმეზე 754 პირის მიმართ. საპროცესო შეთანხმებით გამოტანილ განაჩენებში არსებითი განხილვით შემოსული საქმეების ხვედრითი წილი შეადგენს 31,0%. (იხ. დანართი ცხრილი №13).

ნაწილი 9 - მსჯავრდებულები

9.1 მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით

2025 წლის იანვარში სულ მსჯავრდებული 1006 პირიდან:

- თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 164 პირს, ანუ 16,3%-ს;

- პირობითი მსჯავრი შეეფარდა 492 პირს, ანუ 48,9%-ს;

- ჯარიმა შეეფარდა 185 პირს, ანუ 18,4%-ს;

- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა - 43 პირის, ანუ 4,3%.

მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით



2025 წლის იანვარში სულ მსჯავრდებული 1006 პირიდან მამაკაცი შეადგენდა 93,9%-ს, ხოლო ქალი 6,1%-ს. ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენს 8,3%-ს. სოფლად ჩადენილი დანაშაული შეადგენს 19,2%-ს. სულ მსჯავრდებული პირებიდან სხვა სახელმწიფოს მოქალაქე იყო 5,5%. (იხ. დანართი ცხრილი №14).

ასაკის მიხედვით მსჯავრდებულები ნაწილდება შემდეგნაირად:

- 14-17 წლის ასაკის მსჯავრდებულია 22 პირი, რაც შეადგენს 2,2%-ს;

-18-24 წლის ასაკის 153 პირი, ანუ 15,2%;

- 25-29 წლის ასაკის 135 პირი, ანუ 13,4%;

- 30-49 წლის ასაკის 504 პირი, ანუ 50,1%;

- 50 წლის ზევით ასაკის - 192 პირი, ანუ 19,1%.

მსჯავრდებულთა განაწილება ასაკის მიხედვით



მსჯავრდებულთა შორის არასრული საშუალო განათლების მქონეა 43 პირი, ანუ 4,3%, საშუალო განათლების მქონეა 869 პირი, ანუ 86,4%, უმაღლესი განათლების მქონეა 89 პირი, ანუ 8,8%.

მსჯავრდებულთა განაწილება განათლების დონის მიხედვით



1006 მსჯავრდებული პირიდან:

- უმუშევარია 791, ანუ 78,6%;

- კომერციული ან სხვა ორგანიზაციის მომუშავე 37, ანუ 3,7%;

- სხვა მომუშავეა 157, ანუ 15,6%;

- კერძო მეწარმეა 3, ანუ 0,3%;

- მოსწავლე ან სტუდენტია 7, ანუ 0,7%;

- საჯარო მოსამსახურეა 4, ანუ 0,4% და სხვა.

მსჯავრდებულთა გადანაწილება საქმიანობის მიხედვით

(პროცენტობით)



მოუხსნელი და გაუქარწყლებელი ნასამართლობის მქონეა მსჯავრდებულთა 8,4%.

9.2 არასრულწლოვანი მსჯავრდებულები

2025 წლის იანვარში მსჯავრდებული იყო 22 არასრულწლოვანი, რაც შეადგენს იანვარში პირველი ინსტანციის სასამართლოებში სულ მსჯავრდებული პირების 2,2%-ს.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულებიდან ვაჟი იყო 18, ანუ 81,8%, გოგონა იყო 4, ანუ 18,2%. არ მუშაობდა და არ სწავლობდან 18 არასრულწლოვანი, ანუ სულ მსჯავრდებული არასრულწლოვნების 81,8%. (იხ. დანართი ცხრილი №15).

2025 წლის იანვარში სულ მსჯავრდებული 22 არასრულწლოვნიდან თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 9 პირს, ანუ 40,9%-ს, პირობითი მსჯავრი - 10 პირს, ანუ 45,5%-ს, ჯარიმა - 1 პირს, ანუ 4,5%-ს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა - 1 პირს, ანუ 4,5%-ს, განთავისუფლდა ამინისტიით ან სხვა საფუძვლით - 1 პირი, ანუ 4,5%.

არასრულწლოვან მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელების მიხედვით



მსჯავრდებული 22 არასრულწლოვანი პირი დანაშაულის სახეების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად:

- ქურდობისათვის მსჯავრი დაედო 11 პირს, ანუ 50,0%, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 5 პირს, ანუ 45,5%-ს;

- ძარცვისთვის მსჯავრი დაედო 3 პირს, ანუ 13,6%, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა არ შეეფარდა არც ერთ პირს;

- ყაჩაღობისთვის მსჯავრი დაედო 2 პირს, ანუ 9,1%, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 1 პირს, ანუ 50,0%-ს;

- გაუპატიურებისათვის მსჯავრი დაედო 1 პირს, ანუ 4,5%, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 1 პირს, ანუ 100,0%-ს. (იხ. დანართი ცხრილი №17).

რეგიონების მიხედვით არასრულწლოვანი მსჯავრდებულები ნაწილდებიან შემდეგნაირად:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ იქნა 11 არასრულწლოვანი, ანუ 50,0%;

- ქვემო ქართლის სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ იქნა 5 არასრულწლოვანი, ანუ 22,7%;

- სამეგრელოს სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ იქნა 2 არასრულწლოვანი, ანუ 9,1%;

- გურიის, იმერეთის, კახეთისა და შიდა ქართლის სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ იქნა თითო-თითო არასრულწლოვანი, ანუ 4,5%. (იხ. დანართი ცხრილი №18).

ნაწილი 10 - დანაშაული და შეფარდებული სასჯელები

10.1 დანაშაულისა და შეფარდებული სასჯელების რაოდენობა დანაშაულთა სახეების მიხედვით

2025 წლის იანვარში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განაჩენის გამოტანით განხილულ იქნა 918 საქმე 1048 პირის მიმართ. მსჯავრდებული 1006 (41 პირის მიმართ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი, 1 პირის მიმართ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დაუნიშნავად) პირის მიერ ჩადენილი იყო 1324 დანაშაული, ხოლო დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნულ იქნა 1435 სასჯელი. (იხ. დანართი ცხრილი №19).

საანგარიშო პერიოდში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილ დანაშაულში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი მოდის: საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე - 22,4% (297), ნარკოტიკულ დანაშაულზე - 22,3% (295), ჯანმრთელობის წინააღმდეგ დანაშაულზე - 17,7% (235), დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ - 12,6% (167), მმართველობის წესის წინააღმდეგ დანაშაულზე - 6,0% (79), დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ - 3,5% (46) და სხვა.

მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების სტრუქტურა (პროცენტობით)



2025 წლის იანვარში დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნული 1435 სასჯელიდან:

- თავისუფლების აღკვეთა შეადგენს 30,1%-ს (432);
- პირობითი მსჯავრი 44,4%-ს (637);
- ჯარიმა 19,1%-ს (274);
- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 4,1%-ს (59).

დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნული სასჯელების სტრუქტურა



10.2 დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

2025 წლის იანვარში პირველი ინსტანციის სასამართლოებში დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის შეფარდებული სასჯელებიდან 565, ანუ 39,4% მოდის თბილისის საქალაქო სასამართლოზე, აჭარის სასამართლოებზე - 177, ანუ 12,3%, ქვემო ქართლის სასამართლოებზე - 161 ანუ 11,2%, იმერეთის სასამართლოებზე - 142, ანუ 9,9%, შიდა ქართლის სასამართლოებზე - 102 ანუ 7,1%, სამეგრელოს სასამართლოებზე - 90, ანუ 6,3%, კახეთის სასამართლოებზე - 70, ანუ 4,9% და სხვა. (იხ. დანართი ცხრილი №21).

ჩადენილი დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების განაწილება რეგიონების მიხედვით



ჩადენილი დანაშაულებისათვის დანიშნული სასჯელების ფორმების სტრუქტურა რეგიონალურ ჭრილში (პროცენტობით)



თითოეული დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელის ღონისძიებებში თავისუფლების აღკვეთის მაღალი ხვედრითი წილი მოდის: სამცხე-ჯავახეთზე - 45,8%, შიდა ქართლზე - 40,2%, თბილისზე - 37,0%, მცხეთა-მთიანეთზე - 29,8%, კახეთზე - 25,7% და ა.შ.

პირობითი მსჯავრის მაღალი ხვედრითი წილი მოდის: რაჭაზე - 70,0%, სამეგრელოზე - 66,7%, ქვემო ქართლზე - 57,8%, კახეთზე - 54,3%, იმერეთზე - 47,2% და ა.შ.

ჯარიმის მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა: აჭარა - 35,6%, რაჭა - 25,0%, იმერეთი - 24,6%, გურია - 23,1%, სამცხე-ჯავახეთი - 22,9% და სხვა.

თავი IV. პენიტენციური სისტემის სტატისტიკა[1]

ნაწილი 11 - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახური

11.1 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფები

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის შედარება

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობასთან სქესობრივ ჭრილში

2025 წლის 31 იანვრის მდგომარეობით, პენიტენციური დეპარტამენტის დაწესებულებებში განთავსებული იყო სულ 8 592 პირი, მათ შორის 8 215 კაცი და 377 ქალი.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის სტატისტიკის სამმართველოში ყოველთვიურად ხდება ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის პროცენტული შედარება, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2024 წლის პირველი იანვრის მონაცემებით დაფიქსირებულ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობასთან. ქვეყნის მოსახლეობის აღნიშნულ რაოდენობასთან, მ/წლის 31 იანვრის პენიტენციური დეპარტამენტის მონაცემების შედარების შედეგად, ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რიცხვმა (8 592) ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობის (3 694 608) 0.23% შეადგინა. მამრობითი სქესის ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობა (8 215) ქვეყნის მამრობითი სქესის მოსახლეობის (1 774 469) 0.46%-ს, ხოლო მდედრობითი სქესის ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობა (377) ქვეყნის მდედრობითი სქესის მოსახლეობის (1 920 139) 0.02%-ს შეადგენს (იხ. დანართი, ცხრილი №22).

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში

2025 წლის იანვრის თვეში, სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის ყველაზე მეტი ხვედრითი წილი სრულწლოვან კაცებზე მოდიოდა (8 146). ქვემოთ მოცემულია ყველა დაწესებულებაში განთავსებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის ამსახველი დიაგრამები, სადაც უფრო დეტალურად არის ნაჩვენები სქესობრივი და ასაკობრივი ჯგუფების პროცენტული წილის ურთიერთმიმართება (იხ. დანართი, ცხრილი №23, №24, №25):

[1] ანგარიში მომზადებულია 2025 წლის 31 იანვრის მდგომარეობით არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით.



როგორც მოცემული დიაგრამიდან ჩანს, 41-49 წლამდე ასაკის ბრალდებულები და მსჯავრდებულები საერთო რაოდენობის ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებლით ხასიათდებიან.



ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ასაკობრივი კატეგორიები

2025 წლის იანვრის ბოლოს, პენიტენციურ სისტემაში განთავსებული იყო სულ 8 592 პირი (მათ შორის: ბრალდებული - 1 702; მსჯავრდებული - 6 890). მათი კლასიფიცირება ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით მოცემულია შემდეგ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №27):




მსჯავრდებულთა
ასაკობრივი კატეგორიები
70 წლის ზემოთ
0.81% (56)
65-69 წელი
2.09% (144)
60-64 წელი
3.93% (271)
50-59 წელი
13.12% (904)
41-49 წელი
21.31% (1 468)
36-40 წელი
16.30% (1 123)
31-35 წელი
16.01% (1 103)
26-30 წელი
13.02% (897)
22-25 წელი
7.92% (546)
20-21 წელი
2.77% (191)
18-19 წელი
1.96% (135)
16-17 წელი
0.58% (40)
14-15 წელი
0.17% (12)
0.00%
5.00%
10.00%
15.00%
20.00%
25.00%



ბრალდებულები და მსჯავრდებულები პენიტენციურ დაწესებულებებში

საერთო შეფარდებით დაწესებულებებში განთავსებულ პირთა 19.8%-ს ბრალდებულები შეადგენდნენ. საანგარიშო პერიოდში, 8 პენიტენციურ დაწესებულებაში სულ 1 702 ბრალდებული ირიცხებოდა. დაწესებულებებს შორის მათი ხვედრითი წილი შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №28):

ბრალდებულები დაწესებულებებში



როგორც ზემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს, აღნიშნულ პერიოდში ყველაზე მეტი ბრალდებული №8 დაწესებულებაში ირიცხებოდა.

საერთო რაოდენობასთან შეფარდებით დაწესებულებებში განთავსებულ პირთა 80.2%-ს მსჯავრდებულები შეადგენდნენ. 2025 წლის იანვრის ბოლოს, 14 პენიტენციურ დაწესებულებაში სულ 6 890 მსჯავრდებული ირიცხებოდა. დაწესებულებებს შორის მათი ხვედრითი წილი შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №28):



როგორც ზემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს, საანგარიშო პერიოდში ყველაზე მეტი მსჯავრდებული №15 დაწესებულებაში ირიცხებოდა.

11.2 არასრულწლოვანი ბრალდებულები და მსჯავრდებულები

2025 წლის იანვრის ბოლოს, პენიტენციურ სისტემაში განთავსებული არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რიცხვი (74) ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.9%-ს შეადგენდა. არასრულწლოვანთა შორის 22 ბრალდებულია, ყველა მამრობითი სქესის. მათი რიცხვი ბრალდებულთა საერთო რაოდენობის 1.3%-ს, ხოლო არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის 29.7%-ს შეადგენს. ქვემოთ მოცემულია დაწესებულებებში მათი განაწილების ამსახველი სურათი (იხ. დანართი, ცხრილი №26):



არასრულწლოვანთა შორის 52 მსჯავრდებულია, მათ შორის 5 მდედრობითი სქესის. მათი რიცხვი, მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.8%-ს, ხოლო არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის 70.3%-ს შეადგენს. პენიტენციურ დაწესებულებებში მათი საერთო რაოდენობის განაწილების მაჩვენებელი გამოსახულია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე (იხ. დანართი, ცხრილი №26):



11.3 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების დადგენილი ლიმიტები

„საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №106 ბრძანებით[2] დადგენილია ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების რაოდენობრივი ლიმიტი, თითოეული დაწესებულებისთვის. დაწესებულებებში განთავსებულ პირთა რაოდენობის შედარება, განთავსების ლიმიტირებულ რაოდენობასთან ხდება თითოეულ დაწესებულებასთან მიმართებაში.

[2] 2015 წლის 27 აგვისტოს №106 ბრძანებაში ლიმიტებთან დაკავშირებით ბოლო ცვლილება შევიდა 2024 წლის 4 იანვარს.

პენიტენციურ სისტემას დაქვემდებარებულ 14 დაწესებულებაში არსებული საპატიმრო ადგილების საერთო ლიმიტირებული რაოდენობა 12 332-ს შეადგენს. 2025 წლის 31 იანვრის მონაცემებით, დაწესებულებებში განთავსებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა (8 592) დადგენილ ლიმიტზე 3 740 ერთეულით (30.3%) ნაკლებია. ამ მხრივ, განსხვავებული მდგომარეობაა სხვადასხვა დაწესებულებებში.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ასახულია დაწესებულებების ჩამონათვალი დადგენილი ლიმიტებით, სადაც პროცენტული მაჩვენებლის შემდეგ ფრჩხილებში მოცემულია შესაბამისი სხვაობის ამსახველი ციფრი. ამდენად, საანგარიშო პერიოდისათვის, თითოეულ დაწესებულებაში განთავსებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობის დადგენილ ლიმიტზე ნაკლებობა/მეტობა დიაგრამაზე გამოსახულია როგორც რაოდენობრივი, ასევე პროცენტული მაჩვენებლის სახით (იხ. დანართი, ცხრილი №29):



როგორც მოცემული დიაგრამიდან ჩანს, მ/წლის იანვრის თვეში, დადგენილ ლიმიტთან შედარებით, მეტობის მაჩვენებელი №15 დაწესებულებაში დაფიქსირდა.

11.4 მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით

2025 წლის იანვრის ბოლოს, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულები, ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის 80.2%-ს შეადგენდა. მათგან, უმეტესობას განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირები (3 142) წარმოადგენდნენ. ასევე, დიდი ხვედრითი წილით განისაზღვრებოდა მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირების (2 876) რაოდენობაც. რაც შეეხება მსჯავრდებულთა გადანაწილებას დანაშაულის სახეობის მიხედვით, უნდა აღინიშნოს, რომ მათი უმრავლესობა ადამიანის წინააღმდეგ (3 736) და ეკონომიკური (3 150) დანაშაულისათვის იხდის სასჯელს. ასევე, მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (2 625) ჩადენილი დანაშაული (იხ. დანართი, ცხრილი №30, №31):





11.5 მსჯავრდებულები დაწესებულების ტიპის მიხედვით

2025 წლის 31 იანვარს მდგომარეობით, დაწესებულების ტიპი განესაზღვრა 6 739 მსჯავრდებულს, ხოლო აღნიშნულის მოლოდინშია 151. მათი გადანაწილება დაწესებულების ტიპის მიხედვით შემდეგნაირია (იხ. დანართი, ცხრილი №32):



11.6 უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულები და მსჯავრდებულები

2025 წლის იანვრის თვეში, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულნი იყვნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები 54 ქვეყნიდან და მოქალაქეობის არმქონე პირები. საანგარიშო პერიოდის ბოლოს, მათი რიცხვი 1 022-ს შეადგენდა (ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 11.9%). მათ შორის იყო: №1 დაწესებულებაში 3 (რუსეთი-საქართველო, რუსეთი-საქართველო, რუსეთი-საქართველო), №2 დაწესებულებაში 4 (რუსეთი-საქართველო, რუსეთი-საქართველო, თურქეთი-საქართველო, ყაზახეთი-საქართველო), №5 დაწესებულებაში 8 (თურქეთი-საქართველო, ისრაელი-საქართველო, ბელარუსი-საქართველო, ბელარუსი-საქართველო, რუსეთი-საქართველო, რუსეთი-საქართველო, რუსეთი-უკრაინა, საბერძნეთი-საქართველო), №6 დაწესებულებაში 1 (რუსეთი-საქართველო), №8 დაწესებულებაში 9 (ისრაელი-იორდანია, საბერძნეთი-საქართველო, ირანი-საქართველო, რუსეთი-ისრაელი, თურქეთი-საქართველო, რუსეთი-საქართველო, რუსეთი-საქართველო, რუსეთი-საქართველო, რუსეთი-საქართველო), №10 დაწესებულებაში 1 (ბელგია-საქართველო), №12 დაწესებულებაში 2 (ესტონეთი-საქართველო, რუსეთი-საქართველო), №14 დაწესებულებაში 1 (რუსეთი-საქართველო), №15 დაწესებულებაში 3 (ბელარუსი-საქართველო, რუსეთი-საქართველო, რუსეთი-საქართველო), №16 დაწესებულებაში 3 (რუსეთი-საქართველო, ირანი-საქართველო, ირანი-საქართველო), №17 დაწესებულებაში 2 (უკრაინა-საქართველო, უკრაინა-საქართველო), №18 დაწესებულებაში 2 (უკრაინა-საქართველო, უკრაინა-საქართველო) ორმაგი მოქალაქეობის მქონე ბრალდებული/მსჯავრდებული.

ქვემოთ მოცემულია პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობის ამსახველი დიაგრამები, სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და სახელმწიფოების შესაბამისი მოქალაქეობის მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №33, №34):

უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულები და მსჯავრდებულები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში





როგორც ზემოაღნიშნული დიაგრამიდან ჩანს, უცხოელთაგან უდიდესი ნაწილი თურქეთზე, რუსეთზე და აზერბაიჯანზე მოდის. დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდებიან ქვეყნები, რომლებიც დიაგრამაზე გაერთიანებულია კატეგორიაში „სხვა“ (ავსტრალია - 1, ალჟირი - 1, არაბთა გაერთიანებული საამირო - 1; ბელგია - 1, ესპანეთი - 1, იაპონია - 1, კამერუნი - 1, კოლუმბია - 1, კუბა - 1, მაროკკო - 1, ნიდერლანდების სამეფო - 1, პოლონეთი - 1, პორტუგალია - 1, საფრანგეთი - 1).


უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე
ბრალდებულები და მსჯავრდებულები
სხვა 6 8
მოქალაქეობის არმქონე 2
ჩინეთი 2 6
ყირგიზეთი 3
ყაზახეთი 5 11
უკრაინა 13 55
უზბეკეთი 3 12
ტაჯიკეთი 1 3
სომხეთი 10 13
სერბეთი 3
სირია 6 3
საუდის არაბეთი 1 3
სამხრეთ აფრიკა 11
საბერძნეთი 1 3
რუსეთი 23 98
რუმუნეთი 1 1
პალესტინა 1 1
პაკისტანი 6 34
ნიგერია 2 16
მოლდოვა 7 4
ლიბანი 2 1
ლატვია 3 3
კორეის რესპ. (სამხრეთ კორეა) 2
კანადა 2
ირანი 19 41
იორდანია 8 13
ინდოეთი 3 18
ისრაელი 7 6
იემენი 2 1
თურქმენეთი 3
თურქეთი 133 226
ესტონეთი 2 1
ერაყი 2 4
ეგვიპტე 2 8
გერმანია 1 4
ბრაზილია 2
ბულგარეთი 4
ბელარუსი 5 14
ბანგლადეში 1 1
აშშ 1 3
ავღანეთი 2
აზერბაიჯანი 20 74
0% 10% 20% 30% 40% 50% 60% 70% 80% 90% 100%
ბრალდებულები - 299
მსჯავრდებულები - 723

11.7 პენიტენციურ სისტემაში და სისტემის გარეთ გადაყვანა

2025 წლის იანვარში, პენიტენციურ სისტემაში სულ 749 პირის გადაადგილება დაფიქსირდა. მათ შორის: საერთო პროფილის საავადმყოფოებში - 323; პენიტენციურ დაწესებულებებში - 426 (იხ. დანართი, ცხრილი №35):

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა გადაყვანა



11.8 პენიტენციური სისტემიდან გასვლა

2025 წლის იანვარში, პენიტენციური დაწესებულებები სხვადასხვა საფუძვლით დატოვა 1 028 პირმა, რაც დეტალურად ნაჩვენებია ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე (იხ. დანართი, ცხრილი №36):



როგორც ვხედავთ, პენიტენციური სისტემიდან გასულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უდიდესი წილი შეწყალებით (611), კალენდარულად (135), პირობითი მსჯავრით (21), პირობით ვადამდე (18), სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლით (12) და ამნისტიით (8) გათავისუფლებულ მსჯავრდებულებზე მოდის. ხოლო, დაბალი მაჩვენებლით წარმოდგენილია ავადმყოფობით გათავისუფლება ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისიის/სასამართლოს მიერ (2) და გარდაცვალება (1). აღნიშულის გარდა, სხვა სახით გათავისუფლებულთა (გირაო, საქმის შეწყვეტა, ექსტრადიცია და სხვა) საერთო რაოდენობამ (220) გათავისუფლებულ პირთა მთლიანი რაოდენობის 21.4% შეადგინა.

11.9 პენიტენციური სისტემიდან ჯანმრთელობის/ხანდაზმულობის გამო გათავისუფლება-გადავადება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ჯანმრთელობის/ხანდაზმულობის გამო საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლებულ - გადავადებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დეტალური მონაცემები წარმოდგენილია შემდეგ დიაგრამაზე (იხ. დანართი, ცხრილი №36, №37):



11.10 რესოციალიზაციის მიმდინარეობა

რესოციალიზაციის მიმდინარეობის მაჩვენებელი თითოეული დაწესებულებისთვის ღონისძიებათა ტიპების მიხედვით ითვლება. ამ მიზნით ხდება თითოეულ ღონისძიებაში ჩართული ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის აღრიცხვა და მათი დაყოფა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებად. ასევე, აღირიცხება თითოეულ დაწესებულებაში განხორციელებული ღონისძიებათა ტიპები, მონაწილე პირების გარეშე.

2025 წლის იანვრის თვეში, პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მონაწილეობით 2 277 რესოციალიზაციის ღონისძიება განხორციელდა, ხოლო მონაწილე პირთა გარეშე - 13. მათ შორის, ქვემოთ მოცემული მაჩვენებლების მიხედვით ყველაზე დიდი ადგილი შრომას/დასაქმებას (1 005) ეკავა.

წარმოდგენილ დიაგრამებზე ნაჩვენებია თითოეულ რესოციალიზაციის ღონისძიებებში ჩართული ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობის პროცენტული შედარება სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში და დაწესებულებების მიხედვით, ასევე რესოციალიზაციის ღონისძიებების მაჩვენებელი მონაწილე პირთა გარეშე (იხ. დანართი, ცხრილი №38, №39, №40):

რესოციალიზაციის ღონისძიებებში ჩართული პირები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში



რესოციალიზაციის ღონისძიებებში ჩართული ბრალდებულები და მსჯავრდებულები




რესოციალიზაციის მიმდინარეობა
დაწესებულებებში
№18 დაწესებულება
№17 დაწესებულება
№16 დაწესებულება
№15 დაწესებულება
№14 დაწესებულება
№12 დაწესებულება
№11 დაწესებულება
№10 დაწესებულება
№8 დაწესებულება
№6 დაწესებულება
№5 დაწესებულება
№3 დაწესებულება
№2 დაწესებულება
№1 დაწესებულება
46
146
332
134
139
186
340
65
205
82
40
251
13
7
164
44
83
0%
10%
20%
30%
40%
50%
60%
70%
80%
90%
100%
სრულწლოვანი - 1 798
არასრულწლოვანი - 479


რესოციალიზაციის ღონისძიებები
მონაწილე პირთა გარეშე
სხვა ღონისძიებები
53.8% (7)
კულტურული ღონისძიებები
46.2% (6)
სპორტული ღონისძიებები
0.0% (0)
0.0%
10.0%
20.0%
30.0%
40.0%
50.0%
60.0%

საანგარიშო პერიოდში, არასრულწლოვან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მიმართ რესოციალიზაციის 479 ღონისძიება განხორციელდა. ქვემოთ დიაგრამაზე ნაჩვენებია თითოეულ რესოციალიზაციის პროგრამასა და ღონისძიებაში ჩართული არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობის პროცენტული შედარება:



საანგარიშო პერიოდში, 74 არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული რესოციალიზაციის 479 სხვადასხვა ღონისძიებაში[3] იღებდა მონაწილეობას.

ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამებზე ნაჩვენებია რესოციალიზაციის ღონისძიებები ქვეტიპების მიხედვით:

[3] აღნიშნული მონაცემი აღებულია სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიხედვით, რაც არ წარმოადგენს უნიკალურ რიცხვს და ერთი ბრალდებული/მსჯავრდებული შესაძლოა ჩართული იყოს რამდენიმე პროგრამაში.


ზოგადი/უმაღლესი/პროფესიული
განათლება
140
120
100
80
60
40
20
0
68
0 0 0 0 0 0
0 0 0
40
4
0 0
0 0 0 0 0
127
109
ზოგადი განათლება - 68
უმაღლესი განათლება - 44
პროფესიული განათლება - 236
საჯარო სკოლა - 68
ექსტერნატი გამოცდები - 0
ეროვნული გამოცდები/სამაგისტრო გამოცდები - 0
ბაკალავრი - 40
მაგისტრატურა - 4
პროფესიული განათლება - 127
პროფესიული განათლება (VETCI) - 109


ფსიქო-სოციალური
თერაპია/ტრენინგები და კულტურული ღონისძიებები
400
350
300
250
200
150
100
50
0
334
113
133
ფსიქო-სოციალური
თერაპია
ფსიქო-სოციალური
ტრენინგები
კულტურული ღონისძიებები


სპორტული/სხვა ღონისძიებები
180
160
140
120
100
80
60
40
20
0
165
0
0
0
0
0
0
0
163
16
სპორტული ღონისძიებები - 165
სხვა ღონისძიებები - 179
სპორტული წვრთნა - 165
სპორტული ტურნირები - 0
სპორტული ფესტივალი - 0
სხვა ღონისძიებები - 163
სხვა ღონისძიებები (VETCI) - 16


შრომა/დასაქმება
600
500
400
300
200
100
0
537
21
173
274
შრომა - 1 005
დასაქმება სამეურნეო სამსახურში - 537
დასაქმება (VETCI) - 21
დასაქმება სხვა - 173
შრომა - 274

11.11 სამეურნეო სამუშაოებში დასაქმება

2025 იანვრის თვეში, პენიტენციური დაწესებულებების სამეურნეო სამსახურებში დასაქმებული იყო 537 მსჯავრდებული. ქვემოთ დიაგრამებზე ნაჩვენებია მათი რაოდენობა სქესობრივი ჭრილისა და შრომის ანაზღაურების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №41):




დაწესებულებების სამეურნეო სამსახურებში
მსჯავრდებულთა დასაქმება/ანაზღაურება
№18 დაწესებულება
22
8010.00
№17 დაწესებულება
53
17980.00
№16 დაწესებულება
13
4480.00
№15 დაწესებულება
55
19480.00
№14 დაწესებულება
45
14362.50
№12 დაწესებულება
20
5400.00
№11 დაწესებულება
0
0.00
№10 დაწესებულება
18
4320.00
№8 დაწესებულება
109
37965.00
№6 დაწესებულება
28
6155.00
№5 დაწესებულება
64
17470.00
№3 დაწესებულება
3
750.00
№2 დაწესებულება
72
21279.08
№1 დაწესებულება
35
8527.27
0.00
5000.00
10000.00
15000.00
20000.00
25000.00
30000.00
35000.00
40000.00
სამეურნეო სამსახურებში დასაქმებული მსჯავრდებულები - 537
ანაზღაურება - 166 178.85 ლარი

11.12 დისციპლინური სახდელები

2025 წლის იანვარში, პენიტენციურ დაწესებულებებში დისციპლინური სახდელები 191-ჯერ იქნა გამოყენებული. საანგარიშო პერიოდში, განხორციელებული დისციპლინური სახდელები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში, სახეებისა და დაწესებულებების მიხედვით ნაჩვენებია ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №42):







11.13 წახალისების ფორმები

საანგარიშო პერიოდში, მსჯავრდებულთა წახალისების კუთხით 156 ღონისძიება განხორციელდა. მათი გადანაწილება სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში, წახალისების ფორმებისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №43):

წახალისების ფორმები



წახალისების ღონისძიებები
სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში





11.14 პაემნის ღონისძიებები

2025 წლის იანვრის თვეში, ბრალდებულებმა და მსჯავრდებულებმა პაემნის უფლებით სულ 3 520-ჯერ ისარგებლეს. განხორციელებული პაემნები სახეობებისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №44):



პაემნის ღონისძიებები
სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში



პაემნები დაწესებულებებში



11.15 წარსულში ნასამართლევი ბრალდებულები და მსჯავრდებულები

საანგარიშო პერიოდში, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ წარსულში ნასამართლევ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობამ 3 123 შეადგინა. აღნიშნული მონაცემები სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №45):





11.16 დაოჯახებული ბრალდებულები და მსჯავრდებულები

საანგარიშო პერიოდში, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ დაოჯახებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობამ 4 136 შეადგინა. აღნიშნული მონაცემები სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №46):





11.17 შეწყალების შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, შეწყალების შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა ასახულია დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №36, №47):





11.18 ამნისტიის შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლება

2025 წლის იანვრის თვეში, ამნისტიის შედეგად, საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რაოდენობა ასახულია დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №36, №48):





11.19 პენიტენციურ სისტემაში მომხდარი დანაშაულები

პენიტენციურ სისტემაში დანაშულის ჩადენის ფაქტების მაჩვენებელი გამოითვლება თითოეული დაწესებულებისთვის, საქართველოს სსკ-ის მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების მიხედვით, რაც დაწესებულებებში კრიმინოგენული ვითარების ცალ-ცალკე ჩვენების გარდა საერთო ვითარების ასახვის საშუალებასაც იძლევა. ამასთან, კრიმინოგენული სიტუაციის აღმრიცხავი მონაცემთა ცხრილები დანაშაულებრივი ფაქტებისა და მათი ჩამდენი პირების ასაკობრივ კატეგორიებსაც გვიჩვენებს.

იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის დასავლეთ და აღმოსავლეთ საგამოძიებო სამმართველოების ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2025 წლის იანვრის თვეში, პენიტენციურ სისტემაში მომხდარი გამოსაძიებელი ფაქტების რაოდენობამ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 6 მუხლით გათვალისწინებული 61 ერთეული ქმედება შეადგინა. მათგან, ყველაზე მეტი ხვედრითი წილი საქართველოს სსკ 126-ე მუხლით ჩადენილ დანაშაულებზე მოდის.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია, საანგარიშო პერიოდში, გამოძიების დაწყების საფუძვლად ქცეული დანაშაულებრივი ფაქტების რაოდენობა და მათი ხვედრითი წილი საერთო რაოდენობაში (იხ. დანართი, ცხრილი №49, №50):



დაწესებულებებში და დაწესებულებების გარეთ ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტები

2025 წლის იანვრის თვეში, გამოძიება 9 სხვადასხვა დაწესებულებაში მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტებზე დაიწყო. ქვემოთ წარმოდგენილი დიაგრამა ასახავს ადგილმდებარეობის მიხედვით ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტების პროცენტულ მაჩვენებელს:



საანგარიშო პერიოდში, გამოძიება ჩადენილ დანაშაულებრივ ფაქტებზე სულ 61 პირის მიმართ წარიმართა. გამოძიების ობიექტს - ქმედების ჩამდენ პირთა საერთო რაოდენობის უმრავლესობას 41-49 წლამდე ასაკის პირები შეადგენდნენ. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ასახულია 2025 წლის იანვრის თვეში ჩადენილი ქმედებებისა და ჩამდენ პირთა ასაკობრივი კატეგორიების ურთიერთმიმართება:

პირთა რაოდენობა,
რომელთა მიმართაც დაწყებულია გამოძიება



11.20 დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა) პენიტენციურ სისტემაში[4]

დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა)

2025 წლის იანვრის თვეში, სამედიცინო დეპარტამენტის მონაცემებით, ექიმ-სპეციალისტთა კონსულტაციების შედეგად, ICD10 კოდით განსაზღვრული ძირითადი დაავადების მიხედვით[5], გამოვლენილი დაავადებათა საერთო რაოდენობა 6 024-ს გაუტოლდა. სამედიცინო მდგომარეობის ამსახველი მონაცემთა ცხრილები ასევე იძლევა დაავადებების სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში გავრცელების მასშტაბის დადგენის საშუალებას.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია ICD10 კოდით განსაზღვრული ძირითად დაავადებათა ხვედრითი წილი. პენიტენციურ სისტემაში გავრცელებული დაავადებებიდან ყველაზე დიდი ნაწილი ფსიქიკურ და ქცევით აშლილობებზე (1 104) მოდის. ხოლო, ყველაზე დაბალი მაჩვენებლით წარმოდგენილია თანდაყოლილი მანკები, დეფორმაციები და ქრომოსომული დარღვევები (1) (იხ. დანართი, ცხრილი №51):

[4] დაავადებათა შესაბამისი კოდები (ICD10) იხილეთ ანგარიშის დანართში.

[5] დაავადებათა უფრო დეტალურად ჩაშლილი მონაცემები იხ. ანგარიშის თანდართულ №51 და №52 ცხრილებში.



დაავადებულ პირთა კატეგორიაში ყველაზე მეტი მაჩვენებლით სრულწლოვანი კაცები (4 903) ხასიათდებიან. ICD10 კოდით განსაზღვრული ძირითადი დაავადებები, სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე (იხ. დანართი, ცხრილი №52):



შემდეგი დიაგრამა გვიჩვენებს ქალებისა და კაცების ასაკობრივი კატეგორიების ხვედრით წილს ICD10 კოდით განსაზღვრულ ძირითად დაავადებათა საერთო რაოდენობაში:



მოცემული დიაგრამიდან ჩანს, რომ მ/წ იანვრის თვეში, დაავადებათა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კაცებსა და ქალებში 41-49 წლამდე ასაკობრივ კატეგორიებში გამოვლინდა.

არასრულწლოვნებში დაავადებების რაოდენობა (72) ICD10 კოდით განსაზღვრულ ძირითად დაავადებათა მთლიანი რაოდენობის (6 024) 1.2%-ს შეადგენს. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე აღნიშნულია დაავადებათა გავრცელების მაჩვენებელი არასრულწლოვან ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებში, დაავადებათა კატეგორიის მიხედვით:



შემდეგი ორი დიაგრამა აჩვენებს ICD10 კოდით განსაზღვრულ ძირითად დაავადებათა კატეგორიების გავრცელების მასშტაბს ცალ-ცალკე მამრობითი და მდედრობითი სქესის სრულწლოვან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მიმართებაში (იხ. დანართი, ცხრილი №52):

დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა) სრულწლოვან კაცებში



დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა) სრულწლოვან ქალებში



ზემოაღნიშნული დიაგრამებიდან ჩანს, რომ მამრობითი სქესის სრულწლოვან ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებში გავრცელებულ დაავადებებში ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები, ხოლო მდედრობითი სქესის სრულწლოვან ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებში - სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები სჭარბობს.

სამედიცინო სერვისებით უზრუნველყოფა

პენიტენციურ დაწესებულებებში მკურნალობასთან დაკავშირებული მონაცემები ყოველთვიურად გაწეული პრევენციული და სამკურნალო ღონისძიებების მიხედვით ითვლება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია, 2025 წლის იანვარში, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ პირთათვის სამედიცინო სერვისებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი, პრევენციული და სამკურნალო ღონისძიებების ტიპების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №53):

პრევენციული და სამკურნალო ღონისძიებები



11.21 გარდაცვალება

2025 წლის იანვრის თვეში, პენიტენციურ სისტემაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის გარდაცვალების 1 ფაქტი დაფიქსირდა. გარდაცვალების მაჩვენებელი ადგილმდებარეობისა და სავარაუდო ნოზოლოგიის მიხედვით ასახულია ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №54, №55).

გარდაცვლილ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სტატისტიკა ადგილმდებარეობის მიხედვით



გარდაცვლილ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სტატისტიკა ნოზოლოგიების მიხედვით



თავი V. პრობაციის სისტემის სტატისტიკა

ნაწილი 12 - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო

12.1 არაპატიმარი მსჯავრდებულები

არაპატიმარ მსჯავრდებულთა რაოდენობის სტატისტიკური მონაცემები ანგარიშში რეგიონების[1], სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფებისა და შეფარდებული ღონისძიების მიხედვით არის წარმოდგენილი. 2025 წლის იანვრის ბოლოს, საქართველოში სულ 19 137 არაპატიმარი მსჯავრდებული დაფიქსირდა. რეგიონებს შორის მაღალი მაჩვენებლით თბილისი გამოირჩევა, რომელსაც ასევე მაღალი მაჩვენებლით იმერეთის და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონები მოსდევს. არაპატიმარ მსჯავრდებულთა ყველაზე მცირე რაოდენობა კი რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონშია დაფიქსირებული. აღნიშნული მონაცემები ასახულია ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №56):



[1] 2020 წლის 1 იანვრიდან სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2 ტერიტორიული ორგანოგაერთიანდა კერძოდ აჭარისა და გურიის პრობაციის ბიურო. აღნიშნული თარიღიდან, აჭარისა და გურიის რეგიონების მონაცემები ცხრილებში გაერთიანებული სახითაა წარმოდგენილი.

შეფარდებული ღონისძიების მიხედვით, ქვეყანაში არაპატიმარ მსჯავრდებულთა ყველაზე დიდი რაოდენობა პირობით მსჯავრზე (16 321) მოდის, ხოლო ყველაზე მცირე მაჩვენებლით სასჯელის გადავადება (6) ხასიათდება.



საანგარიშო პერიოდში, პრობაციის ღონისძიება შეფარდებულ პირთა საერთო რაოდენობა 18 409-ია. მათი ხვედრითი წილი შეფარდებული ღონისძიების მიხედვით მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე:



ქვეყნის მასშტაბით, არაპარტიმარ მსჯავრდებულთა უმეტესობა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში სრულწლოვან კაცებზე მოდის (18 018), რაც ნათლად ჩანს ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე (იხ. დანართი, ცხრილი №57, №58):



12.2 არაპატიმარი მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით

საანგარიშო პერიოდში, არაპატიმარ მსჯავრდებულთა რაოდენობას დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით შემდეგი დიაგრამები ასახავს (იხ. დანართი, ცხრილი №59):





12.3 არასრულწლოვანი არაპატიმარი მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით

2025 წლის იანვრის თვის მონაცემებით, არასრულწლოვანი არაპატიმარი მსჯავრდებულების რაოდენობა (142) არაპატიმარ მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.74%-ს შეადგენს. მათი საერთო რაოდენობის კლასიფიცირება დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით შემდეგ სურათს გვაძლევს (იხ. დანართი, ცხრილი №59):





12.4 უცხოელი არაპატიმარი მსჯავრდებულები

წარმოდგენილ საანგარიშო პერიოდში, საქართველოში სულ 36 სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეობის მქონე - 491 უცხოელი არაპატიმარი მსჯავრდებული დაფიქსირდა, რაც არაპატიმარ მსჯავრდებულთა მთლიანი რაოდენობის 2.57%-ს შეადგენს. მათი განაწილების მაჩვენებელი სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფებისა და მოქალაქეობის მიხედვით მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამებზე (იხ.დანართი, ცხრილი №60, №61):





12.5 არაპატიმარი მსჯავრდებულები არასაპატიმრო სასჯელის ტიპის მიხედვით

არასაპატიმრო სასჯელის შეფარდება ხორციელდება როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი სასჯელის სახით. საანგარიშო პერიოდში, არასაპატიმრო სასჯელშეფარდებული პირების რაოდენობამ (2 781) არაპატიმარ მსჯავრდებულთა საერთო რიცხვის (19 137) 14,6% შეადგინა. მათ შორის, პროცენტული გადანაწილება შემდეგნაირად გამოიყურება: თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა - 30.9% (859), საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დანიშვნა 32.7% (909), იარაღთან დაკავშირებული უფლების შეზღუდვა - 34.5% (959), გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნა 0.0% (0), იურიდიული პირისათვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 0.1% (54). სქესის მიხედვით განაწილება შემდეგნაირია, არასაპატიმრო სასჯელშეფარდებული პირების საერთო რაოდენობის 3.3%-ს (92) ქალები შეადგენენ (იხ. დანართი, ცხრილი №62):







12.6 არაპატიმარ მსჯავრდებულთა ახალი საქმეები

2025 წლის იანვრის, სასამართლოს გადაწყვეტილება არასაპატიმრო სასჯელისა და პრობაციის ღონისძიების შეფარდების შესახებ სულ 800 პირის მიმართ იქნა გამოტანილი.

ზემოაღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილებების რაოდენობა რეგიონების და შეფარდებული ღონისძიების მიხედვით ასახულია შემდეგ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №63):





საანგარიშო პერიოდში, პრობაციის ღონისძიების შეფარდების შესახებ სასამართლოს განაჩენი 741 პირის მიმართ იქნა გამოტანილი. მათი ხვედრითი წილი შეფარდებული პრობაციის ღონისძიების მიხედვით მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე:



ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე მოცემულია 2025 წლის იანვრის თვეში არაპატიმარ მსჯავრდებულთა ახალი საქმეების მაჩვენებელი სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილის მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №64):



12.7 დასრულებული და შეწყვეტილი საქმეები

საანგარიშო პერიოდში, დასრულებულ და შეწყვეტილი საქმეთა რაოდენობა საქართველოს მოქალაქეთა (1089) და უცხოელთა (4) მიმართ საფუძვლებისა და რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №65, №66, №67, №68):







როგორც ზემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს, დასრულებული და შეწყვეტილი საქმეების რაოდენობის მხრივ თბილისის შემდეგ მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა სამეგრელო ზემო სვანეთის და იმერეთის რეგიონები. ხოლო, რაოდენობრივად ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა რაჭა-ლეჩხუმ და ქვემო სვანეთში.

დასრულებული და შეწყვეტილი საქმეების რაოდენობა არაპატიმარ მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილის მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. დანართი, ცხრილი №66, №67, №68):







12.8 პირობითი მსჯავრის გაუქმება და ნასამართლობის მოხსნა

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია არაპატიმარ მსჯავრდებულთათვის პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ნასამართლობის მოხსნის 2025 წლის იანვრის თვის სტატისტიკა, სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და რეგიონების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №69):





12.9 არაპატიმარ მსჯავრდებულთა შეწყალება

2025 წლის იანვარში არაპატიმარ მსჯავრდებულთა შეწყალება, არ დაფიქსირდა (იხ. დანართი, ცხრილი №70):

12.10 არაპატიმარ მსჯავრდებულთა ამნისტია

2025 წლის იანვარში, არაპატიმარ მსჯავრდებულთა ამნისტია, სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და რეგიონების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №71).





12.11 საქმეების საშუალო რაოდენობა[2] ერთ ოფიცერზე

2025 წლის იანვარში თვის მონაცემების მიხედვით, ქვეყანაში 19 137 არაპატიმარი მსჯავრდებულის საქმე 165 პრობაციის ოფიცერზე გადანაწილდა. საქმეების საშუალო რაოდენობით ერთ ოფიცერზე რეგიონებში თბილისი (153) და კახეთში (126) ლიდერობს, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (36) ფიქსირდება. საანგარიშო პერიოდში, მთლიანი ქვეყნის მასშტაბით, საქმეების საშუალო რაოდენობამ ერთ ოფიცერზე 116 შეადგინა. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ასახულია საქმეების საშუალო რაოდენობის მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №72):



[2] საქმეების საშუალო რაოდენობა თითოეულ პრობაციის ოფიცერზე რეგიონულ ჭრილში, გამოითვლება საანგარიშო პერიოდისთვის მოცემულ რეგიონში დაფიქსირებული არაპატიმარ მსჯავრდებულთა რაოდენობის შეფარდებით ამავე რეგიონში მოქმედ პრობაციის ოფიცრების რაოდენობაზე. მთელი ქვეყნის მასშტაბით ერთ ოფიცერზე საქმეების საშუალო რაოდენობის გამოთვლისას არაპატიმარ მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის შეფარდება ხდება საქართველოში მოქმედ ყველა პრობაციის ოფიცრის რაოდენობის აღმნიშვნელ რიცხვზე. არაპატიმარ მსჯავრდებულთა რაოდენობა როგორც რეგიონულ ჭრილში, ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით ასახულია დანართის №56 ცხრილში სახელწოდებით „არაპატიმარ მსჯავრდებულთა რაოდენობა შეფარდებული ღონისძიების მიხედვით რეგიონულ ჭრილში“.

12.12 არაპატიმარ მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიმდინარეობა და განრიდებულთა შეფასება

საანგარიშო პერიოდში, პრობაციის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით თბილისის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, სამეგრელო-ზ/სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმი და ქ/სვანეთის და აჭარა-გურიის რეგიონებში სარეაბილიტაციო და სამკურნალო პროგრამები და დასაქმების ღონისძიებები სულ - 85 არაპატიმარი მსჯავრდებულისთვის განხორციელდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია არაპატიმარ მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის 2025 წლის იანვრის თვის სტატისტიკა, პროგრამების, სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და რეგიონების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №73, №74):







საანგარიშო პერიოდის განრიდებულთა შეფასების მაჩვენებელი (48) რეგიონებისა და სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილის მიხედვით ასახულია ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №73, №74):





12.13 არაპატიმარ მსჯავრდებულთა დასაქმება

2025 წლის იანვრის თვის, არაპატიმარ მსჯავრდებულთა დასაქმების სტატისტიკა სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და რეგიონების მიხედვით მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №75):





12.14 შინაპატიმრობა

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია, საანგარიშო პერიოდში, შინაპატიმრობის შეფარდების სტატისტიკის საერთო მაჩვენებელი სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილის, რეგიონებისა და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №76, №77, №78):







ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია შინაპატიმრობის შემოსულ საქმეთა რაოდენობა სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილის, რეგიონებისა და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №77):







ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია შინაპატიმრობის მაჩვენებელთან დაკავშირებით დასრულებულ საქმეთა რაოდენობა სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილის, რეგიონებისა და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №78):


შინაპატიმრობის შეფარდების მაჩვენებელი - დასრულებულ საქმეთა რაოდენობა
რეგიონულ ჭრილში
აჭარა-გურია
2 , 13%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი
0 , %
სამეგრელო-ზემო სვანეთი
2 , 13%
იმერეთი
0 , %
სამცხე-ჯავახეთი
0 , %
კახეთი
0 , %
ქვემო ქართლი
3 , 19%
მცხეთა-მთიანეთი
1 , 6%
შიდა ქართლი
1 , 6%
თბილისი
7 , 44%
0
1
2
3
4
5
6
7
8


შინაპატიმრობის შეფარდების მაჩვენებელი - დასრულებულ საქმეთა რაოდენობა
სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში
არასრულწლოვანი ქალი
1 , 6%
არასრულწლოვანი კაცი
0 , %
სრულწლოვანი ქალი
1 , 6%
სრულწლოვანი კაცი
14 , 88%
0
2
4
6
8
10
12
14
16


შინაპატიმრობის შეფარდების მაჩვენებელი - დასრულებულ საქმეთა რაოდენობა
სასამართლოს/ადგილობრივი საბჭოების მიერ
ადგილობრივი საბჭოების მიერ შინაპატიმრობით შეცვლა
14 , 88%
სასამართლოს მიერ შფარდებული შინაპატიმრობა
2 , 13%
0
2
4
6
8
10
12
14
16